საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 4 18 00078963

16/11/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს **ეკა კვირკველიას**

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2018 წლის 15 ნოემბრის N60-01183191900 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 15.11.2018; N 78703) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, მცხეთის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.968) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, მცხეთის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.034.968) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებულ დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის N ES 4 18 00074606 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა სათანადო ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა, რომელთა პროექტები ორი თვის ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;

გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარებისა და მეხდაცვის სისტემების მოწყობის პროექტი;

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**16-01183043370**
თარიღი: **31/10/2018**

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 29 ოქტომბრის N17-0118302360-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: 01.72.14.034.968) მრავაფლუნქციური კომპლექსის/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობების საერთო ფართობის მიხედვით, მოსალოდნელი მაცხოვრებლების რიცხვია 100 ადამიანი. დღის განმავლობაში განხორციელებული საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა შეადგენს 160 მგზავრობას. დილის პიკის საათებში საპროგზონო მგზავრობების რაოდენობა არის 50, საღამოს პიკის საათში - 35. საოფისე ფუნქციის მქონე შენობების საერთო ფართობების მიხედვით, დილის პიკის საათში მიზიდული საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა - 60. საღამოს პიკის საათში გენერირებული საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა - 60.

კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას **საზოგადოებრივი ტრანსპორტის** დატვირთულობაზე. ამასთან, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში აღნიშნული ტერიტორია მოიაზრება როგორც მთავარი სატრანსპორტო დერეფანი, სადაც უნდა გაიაროს მაღალი ინტენსივობის სატრანზიტო საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა (მაღალი სიხშირის, მაღალი მგზავრთგადაყვანის შესაძლებლობის, სწრაფი ავტობუსის ხაზი). ეს შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშნელოვნად გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია **საქვეითე ინფრასტრუქტურა**. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მხარეს ტროტუარზე არის მუდმივი და დროებითი ბარიერებით, მოპირდაპირე მხარეს კი ტროტუარი არ არის, ამასთან, არ არის საქვეითე გადასასვლელი საპროექტო ტერიტორიისკენ. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ტროტუარების და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა.

პროექტის შესახებ ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მიმდებარე **გზების გამტარუნარიანობაზე** და მნიშვნელოვნად არ შეამცირებს არსებულ გზის რეზერვს.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა[2]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**18-01182013293**
თარიღი: **20/07/2018**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 16 ივლისის #60-01181973728 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე გიორგი კოღუაშვილის №AR1610870 განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს შპს „თორი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ, ს/კ: 01.72.14.034.968) წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას).

გაცნობებთ, ვინაიდან, პროექტის ფარგლებში განსაზღვრული მწვანე ნარგავების რაოდენობა, ჯამში-16 (თექვსმეტი) ძირი ხე (დასარგავი 2 ძირი ირმის რქამ 7 ძირი უნაყოფო თუთა, 7 ძირი გრძელფოთოლა იაფანი) და 15 ძირი იაპონური კვიდოს ბუჩქი სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (284 კვ. მეტრს) და იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვავებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი).

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)